ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

თავად ჯანდიერთა საგვარეულოს ისტორიიდან

ქართულ წარჩინებულ საგვარეულოებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავათ თავად ჯანდიერებს, რომლებიც ოდითგანვე კახეთში სახლობდნენ.

საქართველოს სათავეში ათასწლეულის განმავლობაში მდგარი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისადმი ერთგულებითა და თავდადებით ტრადიციულად გამორჩეული ამ გვარის ცალკეული წარმომადგენლები პატივით იხსენიებიან XVI-XVIII საუკუნეების საისტორიო წყაროებში. ყოველივე ამის გამო, ჯანდიერებს ბაგრატოვანი ხელმწიფენიც სწყალობდნენ.

უფლისწულ ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონის (1696-1757) თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩამოთვლილ კახეთის სათავადო გვარებს შორის ჯანდიერთა საგვარეულო მეცხრე ადგილას იხსენიება [1, 35].

უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) საისტორიო-გენეალოგიურ ნაშრომში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შორის, თავადი ჯანდიერები საკმაოდ საპატიო, მეთორმეტე ადგილას იხსენიებიან [2, 43]. მათ შემდეგ იოანე ბატონიშვილი ასახელებს ისეთ ცნობილ სათავადო საგვარეულოებს, როგორებიც იყვნენ: ჭავჭავაძენი, ვახვახიშვილნი, საგინაშვილნი, ტუსიშვილნი, ხიმშიაშვილნი, ყარალაშვილნი, ბაბადიშნი, ქობულაშვილნი, გურამიშვილნი, გურგენიძენი, ლიონიძენი და ავალიშვილნი.

ზემოხსენებულ ნაშრომში ჯანდიერთა შესახებ ვკითხულობთ: „ამათნი გვარნი უკვე პირველ ესახლნენ გლდანსა ადგილსა შინა,

ოდეს მოვიდნენ თურქნი და აღიღეს ტფილისი და დაემკვიდრნენ მუნ. მაშინ ჯანდიერ ვინმე ლეონის შვილმან, რომელიც მაშინ იწოდებოდნენ ამ გვარითა აზნაურად, ამ ჯანდიერმან მეფისა დიდისა თეიმურაზისა დროსა სთხოვა მხედრობანი და აღუთქვა ტფილისის აღება. ხოლო მან უბოძა მხედრობანი და ამა ჯანდიერმან ღამე იდუმალად მიიყვანა და დამალა ქვეითობანი ბაღებთა შინა და თვითონ ჯანდიერმან და სახლის კაცთა ამისთა აჰკიდეს სახედართა ფიჩხნი და დამალეს მას შინა თოფები და მოვიდნენ კოჯრის კარს წოდებულსა და მცველთა ქალაქისათა განუღეს კარნი, ეგონათ ფიჩხთა განსყიდვაი მათგან და მაშინ აღმოიხადეს მახვილი და მოსრნეს მეკარენი იგი და თვით გაამაგრეს კარისა მის კოშკი და მისცეს ნიშანი დამალულთა ჯართა, რომელნიცა შემოესივნენ და აღიღეს ტფილისი და მოსრნეს მას შინა მყოფნი მცველნი და ჯილდოსათვის მეფემან მისცა თავადობაი გვა-რად ჯანდიერობისა წელსა ქრისტეს აქეთ 1628-სა და სახასოთაგან კახეთსა შინა მამული და ყმა და არიან აწ მცხოვრებნი კალაურსა შინა: 1) ზაალის შვილები, 2) ფრიდონის შვილები, 3) ნიკოლაოზის შვილები, 4) ომანის შვილები და მისის ძმისა, 5) თარხნის შვილები, რომელ არიან ლუარსაბისა და ბიძინას შვილები, ხოლო ახმეტას მცხოვრებნი იწოდებიან ჩოკაშვილად ამავე ჯანდიერთა გვარისანი და არიან აზნაურნი“ [2, 43].

ჯანდიერნი – „ჯანდიერიშვილებად“ იხსენიებიან კახეთის თავადთა სიაში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საერთო ნუსხაში შედიოდა და ერთოდა ტრაქტატს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ტრაქტატად წოდებული ეს მფარველობითი ხელშეკრულება 1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილო კავკასიაში მდებარე რუსულ ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში გაფორმდა [3, 58].

აღნიშნულ საგვარეულოში ტრადიციული იყო სახელი „ჯანდი-ერი“, რომელიც მამაკაცებს ერქვათ. ამ გვარის წარმომადგენელნი სხვადასხვა დროს ფლობდნენ ყმა-მამულს კახეთის შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ახმეტა, მატანი, კოშკი, ვაჩნაძიანი, ველისციხე, ურიათუბანი (ამჟამად – ვაზისუბანი), ზეგაანი და სხვ. [4, 490-491; 5, 66, 210].

ბაგრატოვანმა ხელმწიფეებმა ჯანდიერებს სხვადასხვა დროს მიანდვეს მოურავობა კახეთის ტერიტორიაზე მდებარე თერთმეტი სოფლისა: ერწო, საგარეჯო, ქვემო ხოდაშენი, ვანთა, შაშიანი, კალაური, ურიათუბანი, ველისციხე, გურჯაანი, ჯიმითი და ყანდიაური [6, 156-157; 193; 7, 274; 8, 272-273; 9, 266-267; 5, 66, 210].

დღემდე შემორჩენილი უძველესი საბუთი, რომელშიც ჯანდიერების საგვარეულო იხსენიება, 1576 წლით თარიღდება. ამ დოკუმენტით დგინდება, რომ კახეთის იმდროინდელმა მეფე ალექსანდრე II-მ (მეფობდა 1574-1601 და 1602-1605 წლებში) გადასახადისაგან გაათავისუფლა ყმანი არსლან ჯანდიერიშვილის, რომლებიც დაბარაუნჩში ცხოვრობდნენ [10, 224].

იმავე ხელმწიფემ არსლანსა და მის ვაჟებს – დავითს, გივისა და რევაზს – 1584 წელს უწყალობა გარსევან ჭავჭავაძისეული 6 კომლი ყმა ენისელში, 16 კომლი ჯანაანი და ქამბათასეული 15 კომლი, ახმეტას ჯოთენურისეული ერთი ვენახი [11, 261].

იმავე წლის 16 ოქტომბერს, ალექსანდრე II-მ როსაბ ჯანდიერიშვილს და მის ვაჟებს – იოვანეს, გურგენს, ბეჟანს და მათ შთამომავლებს უწყალობა ფიფანეთს – 18 კომლი, ბარაუნთში – 29 კომლი, იქვე – 1 ნასყიდი კომლი [12, 202-203].

XVII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიას ამშვენებს სახელი აღნიშნული გვარის ღირსეული წარმომადგენლისა - დავით ჯანდიერიშვილისა, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო სამშობლოს და საკუთარი ოჯახის მოღალატე კონსტანტინე-მირზას სიკვდილით დასჯაში. ამით მან დაიცვა საკუთარი სამშობლოს და მისი სამეფო ოჯახის ღირსება. ამ ისტორიულ ფაქტს წინ შემდეგი მოვლენები უძღოდა.

1605 წლის 12 მარტს, კახეთის სამეფოში შემზარავი ტრაგედია დატრიალდა. ძეგამში მდებარე სამეფო სასახლეში შეჭრილმა ყიზილბაშებმა მოკლეს კახთა მეფე ალექსანდრე II და მისი ვაჟი – გიორგი ბატონიშვილი, მოჰკვეთეს თავები და ისპაჰანს გაგზავნეს. ამის მოთავე იყო ვერაგულად მოკლული ხელმწიფის ვაჟი – კონსტანტინე ბატონიშვილი (1572/74-1605), ყრმობიდან სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი და გამუსლიმების შემდეგ

– კონსტანტინე-მირზად სახელდებული. იგი მოქმედებდა თავისი აღმზრდელი შაჰ-აბას I სეფიანის დავალებით: „მოკალ მამაშენი და ძმა შენი და კახეთიც შენ დაიჭირე“ [13, 110].

ფარსადან გორგიჯანიძის შეფასებით, „გაუწყრა ღმერთი კონსტანტილეს, სწვალა მამაშვილობა, მამაც მოკლა და ძმაცა. ეს კახთ ნამეტნავად იწყინეს“ [14, 226].

რენეგატმა კონსტანტინემ თავი მეფედ გამოაცხადა. ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი ცნობილია, როგორც კახეთის მეფე - კონსტანტინე I [15, 217], რომლის მეფობამაც ექვს თვეს გასტანა.

ნიკო დადიანი გვამცნობს: „ოდეს კოსტანტინემ მოკლა მამაი თვისი, მაშინ ესე რძალი თვისი ქეთევან მოინდომა ცოლად. გარნა არა ჯერმჩინებელმან ამის განზრახვისმან ქეთევან შემოიკრიბა რამოდენიმე კახნი“ [16, 141].

ტახტის მიმთვისებელი კონსტანტინე ვერ იგუეს ქრისტიანობის ერთგულად დამცველმა კახელებმა, რომლებმაც შეინარჩუნეს დავით I-ის (მეფობდა 1601-1602 წლებში) ქვრივის – ქეთევან დედოფლის (შემდგომში – წმ. ქეთევან წამებულად წოდებულის) ერთგულება და საძულველი მმართველის ფიზიკურად მოსპობა გადაწყვიტეს.

იმავე წელს, კონსტანტინემ ქართველთა და ყიზილბაშთა კოალიციური ჯარით შირვანს გაილაშქრა და მისი სატახტო ქალაქი შემახა ალყაში მოაქცია. როდესაც ალყა გაჭიანურდა, ამბოხებულმა ქართველებმა კონსტანტინეს მოკვლა სცადეს. კონსტანტინემ გაქცევა შეძლო და შაჰ-აბას I-ს დახმარება სთხოვა. იმხანად შაჰინშაჰმა მისთვის ვერ მოიცალა, ვინაიდან იგი ოსმალეთთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ამიტომ კონსტანტინემ კახეთის დამორჩილება დამოუკიდებლად გადაწყვიტა და ამ მიზნით მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაიქირავა. ქეთევან დედოფალმა, რომელიც აშოთან მუხრანბატონის ასული გახლდათ, დახმარებისათვის თავის ნათესავ ქართლის მეფეს მიმართა. მეფე გიორგი X-მ კახეთს მიავლინა ზემო ქართლის ჯარი თავად პაპუნა ამილახვრის სარდლობით [16, 217-218].

დედოფალმა, რომელსაც მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა, ასეთ ხერხს მიმართა: თავის ერთგულ 200 რჩეულ კახ მხე-

დარს კონსტანტინესთან გაატანა წერილი, რომელშიც კახეთის თავადობა მოძალადე მეფეს ვითომდაც მორჩილებას აღუთქვამდა და ქეთევანის მმართველობისაგან განთავისუფლებას ეევედ-რებოდა. ამ წერილმა კონსტანტინე გაახარა. მას კახმა თავადებმა ურჩიეს, რომ არ დალოდებოდა ნელა მიმავალ ჯარს და დაწინაურებულიყო, ვინაიდან კახეთის მოსახლეობა მოუთმენლად ელოდებოდა. კონსტანტინემაც დაიჯერა, თავის ლაშქარს მოწყდა და მცირერიცხოვანი ამალით დაწინაურდა. ქრისტიანი ქართველობის მიერ საძულველი კონსტანტინესათვის გამოტანილი განაჩენი აღსრულდა 1605 წლის 22 ოქტომბერს, კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში, ისტორიულ ჰერეთში (შემდგომში – საინგილო), მდინარე ბელაქნის წყალთან. შეთქმულმა კახმა თავადებმა – დავით ჯანდიერმა, ძმებმა თამაზ და ბებურ ვაჩნაძეებმა მოულოდნელად ალყა შემოარტყეს კონსტანტინეს და შუბის კვრით ცხენიდან ჩამოაგდეს. მიწაზე განრთხმულმა რენეგატმა სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ თავადებს დიდი წყალობა აღუთქვა, მაგრამ ამაოდ [17, 141].

საისტორიო წყარო გვაუწყებს: „კახთ სიახლოეს რომ გამოვიდა, იცნეს კოსტანტილე, ბევრჯელ ენახათ კახთ თავადთა. წარვიდნენ, თავი გამოიმეტეს, შეუტივეს, შეუტივეს სამთ კეთილ ცხენოსანთა – ჯანდიარიშვილი დავით, ვაჩნაძე თამაზ, ძმა მისი ბებურ, ჰკრეს შუბი, ჩამოაგდეს ცხენიდამ, ძალიან დასცეს მიწასა. სულიერიღა იყო, იცნა ის კაცნი და შეეხვეწა: „ნუ მამკლავთ, დაგრჩომივართო, თქვენს ხელთ ვარო“. სხვას მრავალს წყალობას უქადაგებდა, მაგრამ ყური არ მიუგდეს, ჰკრეს თავსა, ორად გაუპეს და მოჰკვეთეს თავი და მიართვეს დედოფალსა ქეთევანს. მაშინ გამარჯვებულთ ჯარმა კახთამან თათრის ლაშქართ უკან გაუდგნენ, მრავალი გახოცეს და დაიჭირეს და ნაშოვარი საქონელი მრავალი იშოვნეს“ [18, 63].

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „მოკლეს კონსტან-ტილე კახთა. მამის მოკვლის უკან ექვსი თვე იცოცხლა და ძველით სპარსულათ ლექსად ნათქვამია: „...მამის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქსო; რომ კიდეც ქნას, ექვსის თვის მეტი ვერა ქნასო“. ძველი ნათქვამი იყო და აქაც ნათქვამივით გაცხადდა. ეს ანბავი

შაჰ აბაზ ყაენს მისწერეს და ნამეტნავად ეწყინა, მაგრამ სოფლის საფერისათ ასრე ბრძანა: „ხელიმც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო!“ [14, 227].

სახალხო მსჯავრის აღმასრულებელი დავით ჯანდიერი, წოდებული „ასლანიშვილად“, 1614 წელს ქართლ-კახეთის თავადთა ერთ ჯგუფთან ერთად, განჯას ეახლა შაჰ-აბას I-ს [19, 538].

კახეთში შეჭრის და თეიმურაზ I-ის განდევნის შემდეგ, შაჰმა ეს მხარე სამართავად გადასცა მის სამეფო კარზე აღზრდილ და გამუსლიმებულ ბაგრატიონს – ისა-ხანს, იმავე ბატონიშვილ იესე გიორგის ძეს, რომელიც იყო შვილიშვილი კახთა მეფე ალექსანდრე II-ისა. ისა-ხანს შაჰმა ვექილებად, ანუ მონაცვლეებად დაუნიშნა დავით ჯანდიერი [20, 266] და ნოდარ ჯორჯაძე [1, 587].

მიუხედავად შაჰისაგან ასეთი წყალობის მიღებისა და მისი მოჩვენებითი მორჩილებისა, დავით ჯანდიერი შინაგანად ქართველ მამულიშვილად დარჩა. იგი უნარიანად ხელმძღვანელობდა კახელთა შეუპოვარ ბრძოლას სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ [19, 538].

1615 წლის სექტემბერში კახეთში დაწყებული სახალხო აჯანყებისას, რომელსაც სათავეში სწორედ ვექილად დადგენილი დავით ჯანდიერი ედგა, აჯანყებულებმა მოკლეს კახეთში წინა წელს გამეფებული ისა-ხანი (იგივე იესე I), რომელსაც ცოლად ჰყავდა ზუბეიდა-ხათუნი, ასული შაჰ-აბას I-ისა [21, 20-21].

დავით ჯანდიერი მეთაურობდა ქართული ლაშქრის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს სპარსელების წინააღმდეგ 1625 წლის 1 ივლისს, მარაბდასთან მომხდარ ბრძოლაში, სადაც გმირულად დაიღუპა [19, 538].

„დავით ასლანიშვილად“ სახელდებული დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორჯაძესთან ერთად, პატივით იხსენიება მეფე-პოეტ არჩილის (1647-1713) პოემის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ერთ-ერთ თავში – „აქა ნოდარ ჯორჯაძისაგან და დავით ასლანიშვილისაგან ბატონის თეიმურაზის კახეთსვე ჩაყვანა“ [22, 181].

ქრისტიანობის მტკიცედ დამცველმა მეფემ – თეიმურაზ I-მა (1589-1663), რომელიც 1606-1614, 1625-1632 და 1634-1648

წლებში მეფობდა კახეთში, ხოლო 1625-1632 წლებში – ქართლ-კახეთში, 1637 წელს არსლან დავითის ძე ჯანდიერიშვილს, მამამისის მისდამი ერთგულების სანაცვლოდ, უბოძა გარსევანის ნაქონი საქევხო ხუდაანი, რომელიც ღანუხში მდებარეობდა [6, 188-189]. იმ პერიოდში თავად არსლან ჯანდიერიშვილს – ოხიაყორჩის თანამდებობა სჭერია [23, 475].

კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე II-ის (ურდუბეგისძე-ამილახვარი) სამართლის წიგნში, რომელიც დათარიღებულია 1654 წლით, ნახსენებია გივი ჯანდიერიშვილი [24, 96]. იმავე კათოლიკოს-პატრიარქის მიერ აღნიშნულ წელს გაცემულ გამოფიცულობის წიგნში – როსებ ჯანდიერიშვილი საგარეჯოს მოურავად იხსენიება [24, 95].

როგორც ცნობილია, მეფე-პოეტ არჩილის კახეთიდან წასვლის (1675) შემდეგ, ამ სამეფოს მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს განაგებდნენ სპარსეთის შაჰინშაჰის მიერ „ჰაქიმად“ (ანუ მმართველად) დანიშნული ყიზილბაშები: ბეჟან-ხანი, აბას-ყული-ხანი, ქალბალი-ხანი და სხვები [1, 600-608; 25, 620].

შაჰინშაჰის მიერ კახეთის ჰაქიმად დადგენილმა ყარაბაღის ბეგლარბეგმა ქალბალი-ხანმა XVII საუკუნის მიწურულს წყალობის წიგნი უბოძა მდივანბეგ პაატა ჯანდიერს, მის ვაჟებს – მამუკას და დავითს, ძმას მანუჩარს, ძმისწულებს – ომანს, ზურაბ ჯანდიერი იყო ერთ-ერთი მოწმე 1707 წლის 15 მაისით დათარიღებული საბუთისა, რომლის თანახმადაც დათუნა ქადისგული და მისი ვაჟი ბასილი საბატონო ყმებად ჩაირიცხნენ [27, 305].

კახეთის მეფე დავით II-ის, იმავე იმამყული-ხანის (მეფობდა 1709-1722 წლებში) მიერ 1710 წელს გაცემული სიგელით, ჯანდიერებს ებოძათ ჯიმითის მოურავობა, რომელიც ადრეც მათივე საგვარეულოს კუთვნილი ყოფილა [6, 193].

1711 წელს თავადმა ვაჩნაძეებმა მდივანბეგ პაატა ჯანდი-ერიშვილს და მის შვილებს: ზურაბს, მამუკას, როსებს, ასლანს და ზაზას მიჰყიდეს თავიანთი მამული, რომელიც სოფელ კალაურში მდებარეობდა და ასევე, ყმები – ბიჭიკაშვილები და ლაშქარაშვილები [11, 381].

ჯანდიერიშვილნი იხსენიებიან XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში შექმნილ ქართული სამართლის ძეგლში – „დასტურლამალი“ [12, 246], ასევე, “განწესებაში სარუსთველო დროშისა“ [12, 385], რომელიც 1722 წლით თარიღდება.

XVIII საუკუნის ოცდაათიანი წლების შუა ხანებში რუსთველ მიტროპოლიტად მოღვაწეობდა დომენტი ჯანდიერი.

1722 წლით დათარიღებულ „ღვთაების გუჯარს“, რომელიც დაუმტკიცებია კახეთის მეფე დავით II-ს, ბოლოს ერთვის გვიან გაკეთებული ორი მინაწერი:

1) „მე, ყ(ოვლა)დ უღირსმან რუსთველ მიტრაპოლიტმა დომენტიმ ეს ღვთაების გუჯარი დაშლილ იყო და შევაკერვინე... მჯდომარეობასა ჩემსა ხარისხსა ამას ზედა წელსა მეორეს, ხოლო ქ(რისტ)ე აქეთ... ჩღლზ“;

2) „მე, რუსთველს ჯანდიერიშვილს დომენტის შემიწირავს ქალაქს თფილისისასა სასახლე ჩემი ნაშოვნი და ჩემგან აღშენებული მარტყოფის ღვთაებისათვის... საქართველოს პატრიარქის ბატონიშვილის დომენტის ბეჭედი... და მოწმობა არის ამ სახლის სიგელში. ქ[რისტ]ეს აქეთ: ჩღმ. რუსთველი დომენტი“ [28, 87].

აქვე განვმარტავთ, რომ მინაწერში ქართული ასოებით მოცემული პირველი თარიღი შეესაბამება 1737 წელს, ხოლო მეორე – 1740 წელს.

კახეთის მეფე კონსტანტინე II-ის, იმავე მაჰმადყული-ხანის (მეფობდა 1722-1732 წლებში) მიერ 1728 წელს გაცემული წყალობის სიგელით, ზაალ ჯანდიერს, მის ბიძაშვილ დავითს, რევაზს, გარსევანს, ფარემუზს და ნოდარს ებოძათ „ერწოს სამთავროს მოურაობა“, რომელიც ძველთაგანვე მათი საგვარეულოს კუთვნილი გახლდათ [6, 156-157].

1748 წლის აგვისტოში სპარსეთიდან დაბრუნებულმა თავადმა ჯანდიერ ჯანდიერიშვილმა ჩამოიტანა ინფორმაცია იმჟამად იქ დარჩენილი ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (1700-1762) კარგად ყოფნისა და ახლადკურთხეული ადილ-შაჰ აფშარიანის მიერ მისთვის, როგორც სიმამრისათვის, მრავალი წყალობის ბოძების თაობაზე [29, 90].

პაპუნა ორბელიანი გვაუწყებს: „მოვიდა ჯანდიერისშვილი ჯანდიერ, მეფის თეიმურაზის მშვიდობიანი ამბავი მოიტანეს, ადილ-შაჰ-ყაენისაგან მრავლის საქონლის მიცემა და ქართლის გაკეთების და გამდიდრების პირობაც მიეცათ მეფის თეიმურაზისათვის. განიხარა ფრიად მეფე ერეკლემ და ქართველთა ყოველთა შეექმნათ ურიცხვი სიხარული“ [30, 143].

იმავე ფაქტს უფრო ვრცლად გვამცნობს იესე ბარათაშვილი, რომელიც წერს: „აგვისტოს ჯანდიერ მოსულიყო ქალაქს, ნადირ შაჰის სიკუდილის დასტურობა მოეტანა, ადილ შაჰის გახელმწიფება, ქართველ ბატონის ქალი ჰყვანდა ცოლად; ბატონისა და ქართველთ დიდი პატივი და წყალობა და სააკაძე ზურაბისა ვექილობა და სპასალარობა სრულიად ერანსა, ხორასანსა და ადირბეჟანზე, გივი ამილახორისა ყულარაღასობა და დიდი პატივი. ყოველმა სულმა გავიხარეთ“ [31, 11].

ჯანდიერ ჯანდიერიშვილმა სამშობლოში დაბრუნების წელსვე შეიძინა ყმა-გლეხები [11, 419]. 1756 წლის საბუთში იგივე ჯანდიერი მოწმედ იხსენიება [11, 49].

თეიმურაზ II-ის ქართლში, ხოლო მისი ვაჟის – ერეკლე II-ის (1720-1798) კახეთში მეფობის ხანაში, ანუ 1744-1762 წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სასულიერო მოღვაწედ ითვლებოდა იოსებ ჯანდიერი, რომელიც რუსთველ ეპისკოპოსად მსახურობდა. ლეკთა გახშირებული შემოსევების გამო, იგი იძულებული გახდა, რომ 1752 წლის გაზაფხულზე დაეტოვებინა წმ. ანტონის მონასტერი და 73 ბერთან ერთად, დროებით სოფელ მარტყოფს გახიზნულიყო [29, 100].

შემორჩენილია ტექსტი წერილისა, რომელიც იოსებმა რუსთველ ეპისკოპოსად მოღვაწეობის პერიოდში გაუგზავნა თავის ძმას – ასლან ჯანდიერს და ღვთაების ეკლესიის ყმის – შიო გიგაურიშვილის მფარველობა სთხოვა [32, 96-97].

1755 წელს გამართულმა საეკლესიო კრებამ იოსებ ჯანდიერი კათოლიკოს-პატრიარქად დაადგინა. ამ საპატიო თანამდებობაზე იგი 9 წელიწადს მოღვაწეობდა. 1764 წლის მარტში, როდესაც ყოფილი კათოლიკოს-პატრიაქი ანტონ I რუსეთიდან დაბრუნდა

და თავისი ძველი პატივი აღიდგინა, იოსებ ჯანდიერი გადააყენეს და კვლავ რუსთავის ეპისკოპოსად დაადგინეს. ვინაიდან იოსები ანტონ I-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ემხრობოდა, იგი შიდა ქართლის სოფელ მეტეხში გადაასახლეს. იგი ზრუნავდა თავის მრევლზე, რის გამოც დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მას გააჩნდა ღვთით მომადლებული ნიჭი, რომლის ძალითაც კურნავდა სნეულთ და ბრმებს მხედველობას უბრუნებდა. გარდაიცვალა 1770 წელს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხილია წმინდანად, სახელით – „წმ. იოსებ კათალიკოსი-სასწაულმოქმედი“ [33, 129-130].

მეფე თეიმურაზ II-ის მიერ 1757 წლის 13 თებერვალს დამტკიცებულ განწესებაში „საჭერემლო სამწყსოს მიბარების შესახებ“ ვკითხულობთ: „უფალს ნინოწმინდელს ტუსისშვილს საბას ერგო ჭერემლის სამწყსო... სოფელი ჩუმლაყი სრულიად და სოფელი ზეგანი თავადიშვილით ჯანდიერითა“ [12, 410].

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ, რომელიც 1744 წლიდან მეფობდა კახეთში, ხოლო 1762 წლიდან ერთიან ქართლ-კახეთში, 1769 წელს თავად ჯანდიერ ჯანდიერიშვილს უბოძა მიწები, რომლებიც სოფლებში კოშკსა და ველისციხეში მდებარეობდა [5, 66].

ჯანდიერებთან დაკავშირებულ წყალობის სიგელთა და სხვა სახის დოკუმენტთა ტექსტები შეტანილია „ქართული სამართლის ძეგლების“ მრავალტომეულში, ხოლო ინფორმაცია მათ შესახებ – პირთა ანოტირებულ ლექსიკონში [23, 475-477], ერეკლე II-ის მიერ გაცემულ საბუთთა კორპუსში [6, 138-210] და სხვა საისტორიო საბუთების კრებულებში.

ზემოთ უკვე დავიმოწმეთ იოანე ბატონიშვილის ცნობა, რომლის თანახმადაც ჯანდიერთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოება, რომელიც ახმეტაში ცხოვრობდა, – „ჩოკაშვილად“ იწოდებოდა [2, 43].

რუსეთის საიმპერიო მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, კავკასიის შესასწავლად 1770-1774 წლებში გამოგზავნილი საექ-სპედიციო ჯგუფის წევრის, რიგელი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1745-1781)

თხზულებაში აღნიშნულია, რომ იმ პერიოდში ჩოკაშვილი (Tischokaschwili) ფლობდა ერთ ნაწილს ახმეტისას [34, 45], რომელიც ამჟამად არსებული ახმეტის მუნიციპალიტეტის ცენტრია.

აღსანიშნავია, რომ ჩოკაშვილები იხსენიებიან XVIII საუკუნის მიწურულს გაცემულ დოკუმენტშიც, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

1782 წლის 18 სექტემბრის საბუთიდან ნათელი ხდება, რომ ჯანდიერებს სამამულო დავა ჰქონდათ სოფელ აკურის მოსახლეობასთან, რაც ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ დასრულებულა [35, 568].

ფარეშთუხუცესი კიკოლა გივის ძე ჯანდიერი იყო ერთ-ერთი მოწმე 1793 წლის 14 მარტით დათარიღებული საბუთისა, რომლის თანახმადაც ლეკთა ტყვეობიდან განთავისუფლებული და სამშობლოში დაბრუნებული გოგია სეთურიძე და მისი ძმა თვისი ნებით გახდნენ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ყმები [27, 498].

თავად ჯანდიერთაგან, ისევე, როგორც ქართველ თავად-აზნაურთა სხვა საგვარეულოებიდან, გამოვიდა ქართული სამეფო ლაშქრის და შემდგომ – რუსეთის იმპერიის არმიის არაერთი სახელოვანი სამხედრო მეთაური [36, 306].

1795 წლის 11 სექტემბერს, კრწანისთან მომხდარ ბრძოლაში თავი ისახელა სვიმონ ჯანდიერმა, რომელიც სოფელ ველისციხის მოურავი გახლდათ [29, 192]. იგი 1810 წლის 8 ივლისს გარდაიცვალა [28, 471].

1798 წლის 10 იანვარს, ერეკლე II-ის გარდაცვალების დღეს, ქართლ-კახეთის დაქვრივებულმა დედოფალმა დარეჯანმა და კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ, მეფის დაკრძალვის ცერე-მოინმაისტერობა დავით რექტორს მიანდვეს. დაკრძალვის ცერემონიის ტექსტიდან ნათელი ხდება, რომ ამ სამგლოვიარო პროცესში ჯანდიერთა საგვარეულოს წარმომადგენლებს საკმაოდ აქტიური როლი უნდა შეესრულებინათ. კერძოდ, ვერცხლის ლანგარზე დადებული წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენი უნდა დაეკავებინა გიორგი ამილახვარს, რომელსაც მარჯვნიდან მხარს დაუმშვენებდა პაატა ჯანდიერი, ხოლო ასევე

ვერცხლის ლანგარზე დადებული სკიპტრა უნდა დაეჭირა სოფელ ენისელის მოურავ თამაზ ჯორჯაძეს, რომელსაც მარჯვნიდან მხარს რევაზ ჯანდიერი დაუმშვენებდა. განსვენებული მეფის ცხედრის მტვირთველთა შორის უნდა ყოფილიყო სამი ჯანდიერი: 1) ომანი (მოურავი სოფელ კალაურისა); 2) ფრიდონი (მოურავი სოფელ შაშიანისა); 3) იოანე (ძმა ჯიმითის მოურავ როსებისა) [37, 84-86].

ჯანდიერებს სწყალობდა ერეკლე II-ის ვაჟიც – ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1746-1800), რომელიც 1798-1800 წლებში მეფობდა.

თავად გიორგი ტუსიშვილის 1799 წლის 22 მაისით დათარიღებულ არზას მამულის თაობაზე გიორგი XII-მ დაადო ოქმი (ანუ რეზოლუცია), რომელშიც თავის ვაჟს – კახეთის ჯანიშინად (მეფისნაცვლად) დადგენილ ბაგრატ ბატონიშვილს (1775-1841) ასეთი დავალებით მიმართა: „უგანათლებულესო შვილო, ბატონო ბაგრატ! კახეთის მოსამართლეებიც შენთან დაისწარ, დიმიტრი ჩოლაყაშვილიცა და სახლთხუცესი გიორგიც თუ მანდ იყოს, ისიც დაისწარ, ჩოკაშვილებიცა და ახმეტელნი უფროს-უფროსი კაცნიც მიაყვანინე და იმათი საჩივარი ისე გაარჩიე. და რაც გასაყოფი ჰქონდეს, ისე გაუყავი და გაარჩივე და ერთმანეთს ისე მოაშორე“ [38, 549].

ამ დოკუმენტიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს მოხსენიება ჯანდიერთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოებისა – ჩოკა-შვილებისა, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

გიორგი XII-ის მეფობის ხანაში სოფლების ქვემო ხოდაშნისა და შაშიანის მოურავად მსახურობდა სპირიდონ ჯანდიერი, ხოლო ურიათუბნისა (ამჟამად – ვაზისუბანი) – ომან ჯანდიერი [8, 272].

სოფელ გურჯაანის მოურავობა, რომელიც ძველთაგან ჯანდიერთა კუთვნილი თანამდებობა იყო, გიორგი XII-ის მეფობისას ეკუთვნოდა დავით ჯანდიერს [8, 272], ხოლო 1801 წელს იოანე ჯანდიერს გადაეცა [7, 274].

თავადმა როსებ ჯანდიერმა ერეკლე II-ის მეფობის ხანაში მიიღო ნასახჩიბაშობა, ანუ ჯალათთა მეთაურობა, რაც დამოუკიდებელი სამეფო სახელო გახლდათ [39, 319]. ეს თანამდებობა მან გიორგი XII-ის მეფობის ხანაშიც შეინარჩუნა [8, 273].

აღნიშნულ პერიოდში როსებ ჯანდიერი იყო მოურავი კახეთის სამი სოფლისა – ჯერ კალაურისა [9, 267], ხოლო შემდეგ – ჯიმითისა (რაც ჯანდიერებს ადრევე ეწყალობათ) და ყანდიაურისა [8, 273]. ამ უკანასკნელი სოფლის (რომელსაც შემდგომში ყანდაურა ეწოდა) აღორძინება მეფე ერეკლე II-ის ინიციატივით, XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში მოხდა.

1797 წლის 23 თებერვალს, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის მიერ გამოცემულ განჩინებაში „სოფელ ყანდიაურის თაობაზე“ აღნიშნული იყო: „ყანდიაური სოფელი ძველთაგანვე ალავერდის წმიდის გიორგის ეკლესიის შეწირული არის და შაჰ აბაზ ყეენს რომ კახეთი მოუოხრებია, მასუკან ხარაბათ იყო... მისმა უმაღლესობამ, მეფემან ქართლისამან და მეფემან კახთამან და სხვათა ირაკლი მეორემან იგულა და იგულისმოდგინა ამ ყანდიაურის სოფლის გაკეთება, მოიყვანა და თავისი სახასო კაცნი დაასახლა და სხვაც მრავალი ხარჯი ჰქმნა... რადგანაც კაცნი მისის უმაღლესობის მეფის ირაკლის სახასო ყმანი არიან და მამული ალავერდის წმინდის გიორგის ეკლესიისა არის, რაც ამ სოფლის გამოსავალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთმეოდეს და ნახევარი წმინდის გიორგის ალავერდის ეკლესიას მიერთმეოდეს“ [40, 13-15].

ერეკლე II-მ მის მიერვე აღორძინებული ყანდიაური საუფ-ლისწულო მამულად უბოძა თავის ძეს, უფლისწულ მირიან ბაგ-რატიონს (1767-1834), რომელიც მოგვიანებით გახდა რუსეთის საიმპერიო სენატის წევრი, გენერალი და ყაბარდოს პოლკის შეფი. იმავდროულად, იგი ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მირიანს წილად ხვდა პატივი, რომ 1787 წელს შეხვედროდა უკრაინაში მცხოვრებ დავით გურამიშვილს და სამშობლოში ჩამოეტანა მისი ხელით გადაწერილი უნიკალური ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ცნობილია „დავითიანის“ საერთო სახელწოდებით. დაოჯახდა, თუმცა უშვილოდ გადაეგო. გარდაიცვალა და დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში [41].

იოანე ბატონიშვილის ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ცალკეა გამოყოფილი გარეკახეთის ტერიტორიაზე მდებარე

სოფლები, რომელთაგან საუფლისწულოდ იხსენიება მხოლოდ ყანდაურა, მის მფლობელად კი მითითებულია ბატონიშვილი მირიან ერეკლეს ძე [42, 66], რომელიც მეფე გიორგი XII-ს ნახევარძმად ეკუთვნოდა (მამა ერთი ჰყავდათ).

ყანდიაურში სხვადასხვა დროს დასახლდნენ შიდა ქართლიდან, იმერეთიდან, რაჭიდან და სამეგრელოდან გადმოსახლებულები, მათ შორის: გამყრელიძეები (ზემო რაჭის სოფელ სომიწოდან), ჯავახიშვილები (შიდა ქართლის სოფელ ძევერიდან), ფხალაძეები (იმერეთიდან), შენგელიები (სამეგრელოდან), რომლებიც მოგვიანებით შენგელიძეებად დაეწერნენ და სხვ. [43, 417].

1797 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს დიკასტერიამ ამ სოფლის მოურავისადმი შემდეგი წერილობითი დავალება გასცა: „ყანდიაურის მოურავო ჯანდიერიშვილო როსებ ნასახჩიბაშო, როგორც განგვიწესებია და გაგვირიგებია, იმას ასე აღასრულებდე“ [44, 957].

1800 წლის 7 ნოემბერს, გარეკახეთის სოფელ კაკაბეთთან, მდინარე ივრის პირას მდებარე ნიახურას ველზე გაიმართა ბრძოლა საქართველოში შემოჭრილი ხუნძეთის ნუცალის (მთავარის) უმა-ხანის (იმავე ომარ-ხანის) მრავალრიცხოვან ლაშქართან. მტერი სასტიკად დაამარცხა ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ჯარმა, რომელსაც სარდლობდნენ მეფე გიორგი XII-ის ვაჟები – იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები და გენერლები ლაზარევი და გულიაკოვი. ბრძოლაში თავგამოჩენილთა შორის იყო ყანდიაურის მოურავი როსებ ჯანდიერი [8, 275].

გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წლის 28 დეკემბერი) შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს მართვას შეუდგა მისი უფროსი ვაჟი და სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე უფლისწული დავითი (1767-1819), რომელიც სახელმწიფოს 1801 წლის მაისამდე განაგებდა გამგებლის და არა მეფის რანგში. თავისი ხუთთვიანი გამგებლობის პერიოდში, პოზიციების განმტკიცების მიზნით, მან თანამდებობებიდან გადააყენა სამეფო ტახტის მოცილე ბიძის – იულონ ბატონიშვილის (1760-1816) მომხრენი და მათ ადგილას თავისი ერთგული პირები დანიშნა. ამის პარალელურად,

მან არასასურველი პირებისათვის მამულების ჩამორთმევა და საიმედოებზე გადაცემაც დაიწყო.

სწორედ აღნიშნული მიზნით, დავით გამგებელმა ყანდიაურის საუფლისწულო მამული ჩამოართვა თავის ბიძას – მირიანს, რომელიც თავისი უფროსი ძმის – ტახტისმაძიებელი იულონ ბატონიშვილის ბანაკში მოიაზრებოდა და გადასცა თავისი ერთგულ თავადებს ზაქარია და აბელ ანდრონიკაშვილებს. იმავდროულად, მან მოურავობა ჩამოართვა როსებ ჯანდიერს, რომელიც მირიან ბატონიშვილს ერთგულობდა.

ოფიციალურ დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება: „Ведомость тем имениям, крестьянам и чинам, кой царевичем Давидом у одних отняты, а другим отданы. 1801 год“ ვკითხულობთ: „Деревня Кандаур составляла удел царевича Мириана, но отдана моураву Захару Андроникову и Авелю, а моурав той деревны Иосиф Джандиеров отрешен от должности“ [45, 303].

XIX საუკუნის დასაწყისიდან ყანდაურის ნაცვალის თანამდებობა მიანდვეს აზნაურ გამყრელიძეებს, რომლებიც წარმოშობით რაჭის სოფელ სომიწოდან იყვნენ. ამ სოფლის მოსახლეობის 1804 წლის აღწერაში ნაცვლის თანამდებობაზე იხსენიება ბერი (ბერო) გამყრელიძე [46, 326], ხოლო 1812 წლის დოკუმენტში – მისი ვაჟი ივანე ბერის ძე გამყრელიძე [47, 118].

ყანდიაურის მცხოვრებნი, ისევე როგორც კახეთისა და ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობა, აქტიურად მონაწილეობდნენ 1812 წლის სახალხო აჯანყებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერეკლე II-ის შვილთაშვილი, უფლისწული გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830). თებერვლის შუა რიცხვებში ზემოხსენებული ტერიტორია სრულიად განთავისუფლდა რუსთა საოკუპაციო რეჟიმისაგან. ამას მოჰყვა გრიგოლ ბაგრატიონის ქართლ-კახეთის მეფედ გამოცხადება. გრიგოლ I-ის მეფობამ ცოტა ხანს (სულ ორ კვირას) გასტანა, ვინაიდან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული აჯანყებულები დამარცხდნენ [48].

ამ სახალხო აჯანყების აქტიურ მონაწილეთა შორის იყო ყანდიაურის ყოფილი მოურავის როსებ ჯანდიერის ვაჟი - სვიმონ ჯანდიერი (დაბადებული 1795 წელს). ამის გამო, იგი დააპატიმრეს და პერმში გადაასახლეს. 1818 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან თავისი დეიდის – მარიამ დავითის ასულ ანდრონიკაშვილის შუამდგომლობით, რომელიც იყო მეუღლე უფლისწულ ვახტანგ (ალმასხან) ბაგრატიონისა [9, 267] – მეფე ერეკლე II-ის ვაჟისა მესამე ქორწინებიდან.

1812 წლის მარტში, რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა, თავადმა იოსებ ანდრონიკაშვილმა ყანდიაურის მოსახლეობას სთხოვა წერილობით აეხსნათ, თუ რამ გამოიწვია მათი ჩაბმა ზემოხსენებულ აჯანყებაში.

ყანდიაურის ნაცვალმა, ზემოხსენებულმა ივანე გამყრელიძემ იოსებ ანდრონიკაშვილს წარუდგინა ამ სოფლის მოსახლეობის მოხსენება, რომელშიც ამბოხებულნი აცხადებდნენ: „ასე გაგვიჭირდა საქმე ჩვენ ამ დრაგუნებისაგან, ღმერთიც დაგვავიწყეს, ხელმწიფეც და ჩვენი სიცოცხლეცა... გვცარცვავდნენ... მოგეხსენებათ, ახალი მოსახლე არის სოფელი... ამთენი მწუხარება დრაგუნის მაიორისაგან და იარანალი პატნეგირის ჯარისაგან გვჭირდა... და ეს ბუნტიც თიანეთიდან მოჰხდა“. ამ დოკუმენტს ერთვოდა შემდეგი დამოწმება: „ხელს ვაწერ ერთობლივ ყანდიაურელთ თხოვნით მათი ნაცვალი გამყრელიძე ივანე“ [47, 117-118].

მოგვიანებით ყანდაურის მოურავობა მიანდვეს იმავე სოფელში მცხოვრებ ჯავახიშვილებს, რომელთა წინაპარიც შიდა ქართლის სოფელ ძევერიდან გადმოსახლებული აზნაური გახლდათ. XIX საუკუნის ბოლო მესამედში ამ სოფლის მამასახლისად ოთხჯერ იქნა არჩეული ივანე გიორგის (გლახას) ძე ჯავახიშვილი [49, 313-ბ].

მიუხედავად იმისა, რომ ყანდიაურის მოურავად მყოფი როსებ ჯანდიერი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წელს შეცვალეს გამყრელიძეებმა, ხოლო მოგვიანებით ჯავახიშვილებმა, ჩანს, რომ როსებ ჯანდიერის შთამომავლებს ამ სოფელთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტიათ.

1823 წლის 25 ნოემბერს, ყანდიაურის მკვიდრ თევდორე ჯავახიშვილს ახლად შეძენილი ვაჟი – აბრამი მოუნათლა ზემოხსენებულმა თავადმა სვიმონ როსების ძე ჯანდიერმა. ნათლიის გვარი დოკუმენტში „ჯანდიერიშვილის“ ფორმით იხსენიება [50, 340-ა].

აღსანიშნავია, რომ გარდა სვიმონ ჯანდიერისა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავდადებით იბრძოდა ჯანდიერთა საგვარეულოს სხვა არაერთი წარმომადგენელიც, რისთვისაც ისინი საოკუპაციო რეჟიმმა დააპატიმრა და ციმბირში გადასახლებით დასაჯა. კერძოდ, 1812 წლის სახალხო აჯანყებებში მონაწილეობისათვის ოკუპანტებმა დაატუსაღეს ჯანდიერები – გრიგოლი, დიმიტრი, ივანე (ნინია) და ედიშერი. მათ სასჯელი 1816-1820 წლებში ეპატიათ და სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ [51, 202; 9, 266-267].

სხვათა შორის, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა ჯერ კიდევ 1802 წელს დააპატიმრა ზემოხსენებულ სვიმონ ჯანდიერის მამა – როსებ ჯანდიერი, მოურავყოფილი. ამის ინიციატორი იყო რუსეთის იმპერიის მოხელე პეტრე ივანეს ძე კოვალენსკი, რომელიც 1799 წლის ნოემბრიდან მსახურობდა საგანგებო წარმომადგენლად (მინისტრად) – გიორგი XII-ის სამეფო კარზე, ხოლო 1802-1803 წლებში – საქართველოს გამგებლად [9, 68-69]. კოვალენსკიმ იმ მოტივით დაატუსაღებინა როსებ ჯანდიერი, რომ „როდესაც თბილისში ჩამოხვედი და შემხვდი, რატომ არ წარმომიდექიო“ [52, 18].

მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობით, კახეთის აჯანყებისას როსებ ჯანდიერმა საიმპერიო ხელისუფლების მხარე დაიკავა [9, 267]. მან, სამ თავადთან ერთად, 1812 წლის 14 მაისს, აჯანყებულ კახ თავადებს გადასცა წერილი დანაშაულის პატიების შესახებ, რომლის ავტორიც საქართველოს მმართველად დადგენილი გენერალი რტიშჩევი გახლდათ [53, 460].

როგორც ჩანს, როსების ერთგულება მაინც საეჭვოდ მიიჩნია საოკუპაციო რეჟიმმა, რადგანაც არსებობს ცნობა, რომ იგი 1812 წელს გააციმბირეს, საიდანაც 1816 წელს დაბრუნდა [51, 202].

მწიგნობარი, თეოლოგი, ფილოსოფოსი და მკვლევარი იონა (იოანე) ხელაშვილი (1772-1837), რომელიც სანქტ-პეტერბურგში

გადასახლებული ქართველი ბატონიშვილების კარის მღვდელი გახლდათ, მეგობრობდა თავად იოანე სვიმონის ძე ჯანდიერთან. შემორჩენილია იონას მიერ 1834 წლის 17 მაისს გაგზავნილი წერილი იოანე ჯანდიერისადმი, რომელიც ასე იწყება: „ბრწყინვალეო თავადო იოანე, ძეო სვიმონიო, სქესით ჯანდიერ, მოფარდულ ველისციხ ბადით“ [54, 1-2]. ეს წერილი ერთვოდა „ქრისტეს მოყუარის მხედრობის განსამხნოებელ წიგნს“, რომელიც იოანე ხელაშვილმა ჯანდიერს გაუგზავნა [55, 659].

XIX საუკუნის ოციანი წლებიდან, როდესაც ქართული სახელმწიფო და ჯარი აღარ არსებობდა, ჯანდიერთა გვარის არაერთი წარმომადგენელი იძულებული გახდა, რომ რუსეთის საიმპერიო არმიაში ემსახურა.

ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ნუსხაში, რომელიც 1850 წლის 6 დეკემბერს დაამტკიცა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (მეფობდა 1825-1855 წლებში), თავად ჯანდიერთა 16 ოჯახი იხსენიება. მათ შორის სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობანი ეკავათ: კაპიტან გიორგი როსების (იმავე იოსების) ძეს, პრაპორშჩიკ გიორგი პაატას ძეს და მის ძმას – ივანე პაატას ძეს, რომელიც „გუბერნსკი სეკრეტარი“, ანუ გუბერნიის მდივანი გახლდათ [56, 85; 258].

საიმპერიო არმიაში ოფიცრად მომსახურე ჯანდიერთა შორის ყველაზე გამოჩენილი გახლდათ ზემოხსენებული გიორგი როსების (იოსების) ძე ჯანდიერი (1808-?), მრავალი სამხედრო კამპანიის წარმატებული მონაწილე და კავალერი საპატიო ჯილდოებისა, მათ შორის წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენისა. იგი 21 წლის ასაკში, პრაპორშჩიკის წოდებით მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომში და ახალციხის განთავისუფლების ოპერაციაში. ქართული მილიციის უფროსის მოადგილის რანგში დაჯილდოვდა ოქროს ხმლით „მამაცობისათვის“ – იმამ შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებებისათვის. 1844 წელს კაპიტნის წოდებით მეთაურობდა ქართულ ქვეით ლეგიონს. 1853-1856 წლების ყირიმის ომის პერიოდში დააკომპლექტა ქართველ მოხალისე მხედართა ცხენოსანი შენაერთი – „დრუჟინა“, რომელსაც კავკასიის ფრონტზე თავადვე ხელმძღვანელობდა.

ოსმალეთის იმპერიის არმიასთან მებრძოლი ეს შენაერთი ყველა შეტაკებაში გამოდიოდა გენერალ ივანე ამილახვრის მიერ საგანგებოდ ამ რაზმეულისათვის შექმნილი დროშით. მას, როგორც მუდამ წინა ხაზზე მებრძოლს, მხედრული მამაცობისათვის – „დროშა გიორგის“, ანდა „დროშა ჯანდიერს“ უწოდებდნენ. მან და მისი მეთაურობით მოქმედმა რაზმმა თავი განსაკუთრებულად ისახელა 1854 წლის 4 ივლისს, ჩოლოქთან მომხდარ ბრძოლაში. თავისი სამხედრო კარიერა პოლკოვნიკის წოდებით დაასრულა [57, 23; 58, 538]. ცხოვრობდა სოფელ ვაჩნაძიანში (ამჟამად შედის გურჯაანის მუნიციპალიტეტში).

გიორგი ჯანდიერის ვაჟი – ლევანი (1848-1921) – ღირსეული ქართველი მამულიშვილი და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების (1867) შემდეგ, სხვადასხვა დროს მსახურობდა: თელავის სამაზრო გამგეობაში, მომრიგებელ შუამავლად, სიღნაღის მაზრის უფროსის მოადგილედ, ჯერ თიანეთის, ხოლო შემდეგ თბილისის მაზრის უფროსად, პოლიცმაისტერად, ერევნის ვიცე-გუბერნატორად, სოხუმის საოლქო პოლიციის სამმართველოს უფროსად, სოხუმის ოლქის უფროსად. სამსახურიდან გადადგა გენერალ-მაიორის წოდებით. მეგობრობდა დიდ ილია ჭავჭავაძესთან, რომლის ინიციატივითაც იყო თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის მმართველობის წევრი, დირექტორი. თავის მაღალ სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებდა აქტიური ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და ცარიზმის შოვინისტ მოხელეთა თვითნებობის აღსაკვეთად. მისი ინიციატივით მოხდა ქართველ მთიელთა ჩასახლება მანგლისის მიდამოებში, მანამდე იქ გაჩენილი რუსთა დასახლების საპირწონედ და სკოლის გახსნა სოფელ მელაანში.

სახელმწიფო სამსახურის პარალელურად, ლევან ჯანდიერი ეწეოდა ლიტერატურულ, კერძოდ, ჟურნალისტურ და მთარგმნელობით საქმიანობასაც. მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „ჭიჩოელი“. მის მიერ თარგმნილი პედაგოგიური თხზულება „კონრად კიფერი“ ილია ჭავჭავაძის წინასიტყვაობით გამოქვეყნდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“. მისი პუბლიცისტური და

საისტორიო ხასიათის წერილები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში, კერძოდ, „ცისკარში“, დროებაში“, „ივერიაში“, „მოგზაურსა“ და „სასოფლო გაზეთში“ [59, 445].

მაზრის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას მან საზოგადოების დიდი მადლიერება და სიყვარული დაიმსახურა. მის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ აკაკი წერეთელი (1840-1915) და ვაჟა-ფშაველა (1861-1915). აკაკი სწორედ ლევან ჯანდიერის დამსახურებად მიიჩნევდა, რომ „ჯერ კიდევ კახეთს ქართული არ შეუცვლია ფერი“ [60, 29], ხოლო ვაჟა ქართულ პრესაში აღნიშნავდა, რომ „ლევან ჯანდიერი ერთი უკეთესი ადმინისტრატორია“ [60, 116].

ლევან ჯანდიერთან დაახლოებული იყო ვაჟა-ფშაველას ძმაც – მწერალი და პედაგოგი ბაჩანა (ნიკოლოზ) პავლეს ძე რაზიკაშვილი (1866-1927). იგი თავის უმცროს ძმას, ფოსტის მუშაკ სანდრო (ალექსანდრე) რაზიკაშვილს (1874-1943) 1902 წლის 13 მარტს გაგზავნილ წერილში ასეთ დავალებას აძლევდა: „წადი, ტფილისის მაზრის უფროსი და ლევან ჯანდიერი ნახე, აუხსენი ყველაფერი და სთხოვე – საქმე მოასპობინოს. ყოველ შემთხვევაში, სულ ყველაფერი მომწერე“ [61, 28].

ლევან ჯანდიერის ორი ვაჟი ცნობილი სამხედრო პირი იყო. მათგან უფროსი – გიორგი (1868-1922) იყო პოლკოვნიკი, ყუბანის 593-ე ქვეითი დრუჟინის მეთაური, ხოლო მისი უმცროსი ძმა - ივანე (1869-1922) იყო პოდპოლკოვნიკი, თბილისის მაზრის სამხედრო უფროსი.

ივანეს (ვანო) ჯანდიერს ცოლად ჰყავდა სოფიო იოსების ასული ქობულაშვილი, რომელთანაც 6 შვილი შეეძინა. მათი ნაბოლარა ვაჟი – იოსები (1901-1921), შინაურებში „ოსიკად“ წოდებული – ქართველ იუნკერთა სახელოვანი კოჰორტის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ. საუკეთესო მხედრული ტრადიციებით აღზრდილმა, თავისი ჭაბუკობის საუკეთესო წლები და სიცოცხლე უყოყმანოდ შესწირა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას [62, 41].

იოსების ნათლობა შედგა სოფელ კისისხევის (ამჟამად –

თელავის მუნიციპალიტეტი) ღვთაების ეკლესიაში. მისი ნათლიები იყვნენ ქართველი წარჩინებული გვარების წარმომადგენლები: დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი, ნინო ელიზბარის ასული ქობულაშვილისა, ნიკოლოზ გულბაათის ძე ჭავჭავაძე და ნინო მიხეილის ასული ამილახვრისა.

17 წლის ჭაბუკი მოხალისედ წავიდა სომხეთის არმიასთან საბრძოლველად, რომელიც 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში საქართველოში ტერიტორიის მითვისების მიზნით შემოიჭრა. ჩაირიცხა ქართულ ცხენოსან პოლკში. დაბა შულავერის აღებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა წმ. გიორგის ჯვრით [63]. დღემდე შემორჩენილ ფოტოზე მას მკერდს ეს ჯილდო უმშვენებს.

აქვე განვმარტავთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო 1918-1919 წლებში განაგრძობდა ბრძოლაში თავგამოჩენილ მხედართა დაჯილდოებას წმ. გიორგის ჯვრებით, რომელიც რუსული წარჩინების ნიშანი იყო და რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო საწყობებში მრავლად შემორჩა [64, 12-18].

წმ. გიორგის ჯვრის კავალერი იოსებ ჯანდიერი ასევე მონაწილეობდა გაგრასთან ბრძოლაში, ხოლო 1920 წლის გაზაფხულზე, აზერბაიჯანის მხრიდან შემოჭრილი წითელი არმიის განდევნის ოპერაციაში. 1920 წლის 15 სექტემბერს ჩაირიცხა ქართულ სამხედრო სკოლაში, რომელსაც „იუნკერთა სკოლასაც“ უწოდებდნენ.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელასთან მიმდინარე ბრძოლებში, სხვა ქართველ იუნკრებთან ერთად, 19 წლის იოსებ ჯანდიერიც გმირულად დაეცა. იმხანად დაღუპულთა შორის იყო მისივე ნათესავი – ილია ჯანდიერი [65, 12-17].

საქართველოს სამხედრო სკოლის უფროსის, გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის (1873-1941) ცნობით, 1921 წლის 24 თებერვალს, იერიშის დროს, იოსებ ჯანდიერთან ერთად დაიღუპნენ მისი მეგობარი იუნკრები – შალვა ქსნის ერისთავი და

იოსებ ლორთქიფანიძე [66, 97].

სოფიო ქობულაშვილი-ჯანდიერისას დღიურში შემონახულია მისი ვაჟის დაბადების, აღზრდის, მის მიერ ღირსეულად განვლილი საბრძოლო გზისა და სამშობლოსათვის გმირული თავგანწირვის ისტორია, ასევე მტრის მიერ განგმირული რაინდის ცხედრის ძიებისა და საფლავის პოვნის სევდიანი ქრონიკა. ამ ფრიად ემოციურად დაწერილი ტექსტიდან ვრცელი ამონარიდი აქ მოგვყავს იმის საჩვენებლად, თუ როგორ აისახა ერთ-ერთი ღირსეული ქართული ოჯახის მატიანეში 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებული საქართველოს ოკუპაცია და იძულებითი გასაბჭოება, რაც ჩვენი სამშობლოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული თარიღია. აქვე დავძენთ, რომ იმხანად, სამშობლოს დამოუკიდებლობას, 19 წლის იოსებთან ერთად იცავდნენ მისი ძმები და მათი მამა – ივანე (ვანო) ჯანდიერი, რომელიც უკვე 52 წლისა გახლდათ.

დღიურში ვკითხულობთ: „ოსიკა 1921 წლის 17 თებერვალს წავიდა ბრძოლის ველზე, კოჯრის მთებზე, ტაბახმელაში. ბოლშევიკებთან ომობენ ჩვენი ქართველები, მამაცურად ომობენ საშინელ ომში, ნამეტნავად იუნკრები. იუნკრებმა დაიწყეს ომი საღამოს, 17 თებერვალს... ოსიკას მამაცობის ხმა მოდის. ძალიან მამაცურად ეომება თურმე, დაჭრილი ამხანაგები გამოჰყავს თავისი ზურგით ბრძოლის ველიდან და ისევ ბრძოლაში შედის. ამას დაჭრილები ამტკიცებენ.

4 მარტს დააგდეს ხმა, რომ ჩემი ოსიკა მკვდარი არის ჩამოყვანილი მიხეილის საავადმყოფოში. ჩემი მაზლი გიორგი და ორივე სიძეები: გიორგი ვაჩნაძე, საშა მაჭავარიანი და ჩემი მამიდაშვილი თამარ ვახვახოვისა გაქცეულან სანახავად, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა. დამარწმუნეს, რომ ოსიკა არ არისო... მითხრეს, რომ როცა კოჯორი დაცალეს, ბათუმისაკენ წაიყვანეს ჯარი. ოსიკასაც მაშინ გაუვლია და არ ვიცი, მართალია, თუ არა. არ ვიცი, რომელი შვილი ვიწუხო, თუ ქმარი... 24 მარტს ვანო (აქ იგულისხმება ოსიკას მამა – ნ. ჯ.) – გოგიათი და დათიკო ბათუმიდან ჩამოვიდნენ. ვანოს ეგონა, რომ ოსიკა ჩემთან არის. ვაიმე შვილო, მგონი უბედური დედა გავხდი. ზოგი ამბობს, რომ მომიკლეს, ზოგი

მეუბნება - დაჭრილი ბაქოში არის ტყვეთაო. 8 აპრილს ვანო ავიდა კოჯორისაკენ და ამოათხრევინა მიცვალებულები, მაგრამ ვერ ვიპოვეთ ოსიკა. ახლა ბაქოში ვეძებთ. თუ იქაც არ აღმოჩნდა, დიდი უბედურება მომივა...

დღეს, 10 აპრილს, დავრწმუნდით, რომ უბედურება მოგვივიდა. მე და ვანოს ოსიკა აღარა გვყავს. ლალა ვაჩნაძე დარწმუნებით ამბობს, რომ მიხეილის საავადმყოფოში ნახა მიცვალებული ჩემი ოსიკა. წამოსულა, რომ ეთქვა, მაგრამ თამარა ვახვახოვისამ თურმე არ მოუშვა ჩემთან სათქმელად. თამარამ დამღუპა, რომ უკანასკნელათ ჩემი შვილი ვერ ვნახე და ჩემი ხელით არ დავასაფლავე. ლალამ მითხრა, რომ გულში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი და მკერდში ერთი შტიკი. ვაი შენ დედას შვილო, რატომ არ მოვკვდი შენ მაგივრად, რომ შენ დაგეყარა ჩემთვის მიწა. 17 აპრილს გადავუხადეთ ჩვენ მშვენიერს ოსიკას პირველი პანაშვიდი ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ბევრი ნაცნობი, ნათესავი და ამხანაგები იყვნენ.

16 მაისი, 1921 წელი, თბილისი. დღეს ვიპოვნე ჩემი გმირი 19 წლის ვაჟკაცის საფლავი ვაენნი სობოროში. წმინდა ალექსანდრეს ტაძრის ეზოში არის ჩემი ოსიკა ბევრ სხვა ამხანაგებთან ერთად დამარხული. ოსიკას საფლავი მიპოვნა დიმიტრი სულაძემ, რომელმაც დამარხა ოსიკასთან ერთად 36...“ [63].

საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ და იძულებით გასაბჭოებულ სამშობლოში დარჩენილ ჯანდიერებს, ისევე როგორც სხვა წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებს, ცხოვრება უმძიმეს პირობებში მოუწიათ. მათ დაკარგეს მამა-პაპური სახლები, მამულები და იძულებულნი გახდნენ, რომ ძირითადად დედაქალაქში გადმოსახლებულიყვნენ.

სსრ კავშირში პერიოდულად გაჩაღებულ რეპრესიებს ჯანდიერთა გვარის არაერთი წარმომადგენელი ემსხვერპლა.

1924 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოში მომხდარი ანტისაბჭოთა სახალხო აჯანყების ჩახშობისას ხუთი ჯანდიერი დააპატიმრეს და დახვრიტეს. მათგან პირველი – დავით გიორგის ძე (1894-1924) დააპატიმრეს თბილისში, ივანე დავითის ძე (1875-1924) – თელავის მაზრაში, ხოლო გიორგი ივანეს ძე (1886-

1924), არჩილ რაჟდენის ძე (1900-1924) და ევგენი ზაქარიას ძე (1893-1924) – სიღნაღის მაზრაში [67, 485-486].

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან რეპრესიებმა სსრ კავშირში მასობრივი ხასიათი შეიძინა. იმ ავადსახსენებელ პერიოდს შეეწირა ზემოხსენებული გენერალ-მაიორის ლევან ჯანდიერის ვაჟი, გამოჩენილი ზოოტექნიკოსი, საქართველოში ზოოტექნიკური მეცნიერების ფუძემდებელი, პროფესორი ილია ლევანის ძე ჯანდიერი (1880-1937). მან დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1906), ხოლო სტაჟირება გერმანიაში გაიარა. 1914 წლიდან მოღვაწეობდა პეტროგრადის აგრონომიული ინსტიტუტში, სადაც იყო: ზოგადი ზოოტექნიკის კათედრის პროფესორი, გამგე, პრორექტორი და რექტორი (1919-1922). 1925 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 1927 წელს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა საქართველოს ზოოტექნიკური სადგური, რომელიც 1931 წლიდან გადაკეთდა ამიერკავკასიის, ხოლო 1936 წლიდან – საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, რომელსაც თავადვე დირექტორობდა. 1930 წლიდან იყო საქართველო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ხოლო 1932 წლიდან – ზოოტექნიკური ინსტიტუტის კვების კათედრის გამგე. მან ექსპედიციური და სტაციონარული გამოკვლევების საფუძველზე დაადგინა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდი, მათი პოტენცია, საქართველოს ზონების ბალახის ყუათიანობა, ცხვრის ცხიმის ბიოლოგიური მნიშვნელობა მისი წყურვილისა და შიმშილის დროს, გამოიკვლია მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკითხები და სხვ. მისივე ინიციატივით შეიმუშავეს რძისა და ყველის ქარხნების განლაგების და ტიპების პროექტები. 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს, როგორც ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მეთაური [68, 1003].

ილია ჯანდიერი იყო წარმომადგენელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა იმ ბრწყინვალე კოჰორტისა, რომელსაც მოღვაწეობა დიდი ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) რექტორობის პერიოდში მოუწია. ილია ჯანდიერის, როგორც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წევრის

ხელმოწერები, სათანადო ოქმებზე 1926 წლიდან ფიქსირდებოდა [69, 431-436].

იმავე წელს, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს ილია ჯანდიერის ნათესავი – აგრონომ-მიკრობიოლოგი თამარ გიორგის ასული ჯანდიერი (1900-1937), რომელიც საცივარი მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში მიკრობიოლოგიის სექტორის გამგედ მუშაობდა.

თბილისის თანამედროვე არქიტექტურას დიდი ამაგი დასდო საქართველოს დამსახურებულმა არქიტექტორმა ლევან ილიას ძე ჯანდიერმა (1934-1995), რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახლდათ. მის ნამუშევართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ამჟამად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც სსრ კავშირის არსებობის ხანაში განთავსებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი [70, 1003].

1956 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვან ბალერინად ითვლებოდა ირინე ალექსანდრეს ასული ჯანდიერი (დაბადებული 1940 წელს), რომელიც საქართველოს სახალხო არტისტი და 1972 წელს ვარნაში გამართული ბალეტის მსახიობთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია [71, 1003].

თანამედროვე ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწეა კონსტანტინე (კოტე) ირაკლის ძე ჯანდიერი (დაბადებული 1958 წელს).

აღსანიშნავია, რომ ჯანდიერთა ქალებმა შვეს და აღზარდეს არაერთი სახელოვანი ქართველი მოღვაწე.

გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925), რომლის საგვარეულოს ისტორიის შესწავლასაც საგანგებო ნაშრომი მივუძღვენით [72, 125-140], დაიბადა და აღიზარდა თავად ნიკოლოზ (იმავე ჯანასლან, ესტატე და ტატო) კონსტანტინეს ძე ჩერქეზიშვილისა (1807-1869) და ქეთევან გიორგის ასული ჯანდიერის (1816-1888) ოჯახში.

საქართველოს გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდო-

მარის, იური ჩიქოვანის მიერ მოპოვებული საარქივო მასალების თანახმად, თავად ჩერქეზიშვილთა რძალი და სახელოვანი ვაჟის დედა – ქეთევან ჯანდიერი დაიბადა თავად გიორგი (გოგია) დავითის ძე ჯანდიერისა (1785-1847) და სიდონია დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილის (1793-1871) ოჯახში. ამ წყვილმა ჯვარი 1810 წლის 15 დეკემბერს დაიწერა.

ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოღვაწე ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის რაჟდენ გრიგოლის ძე რუსიშვილის (1900-1984) დედა გახლდათ ნატალია ილიას ასული ჯანდიერი [73, 336-337].

1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში ცხოვრობდა 239 ჯანდიერი, რომელთაგან 167 ცხოვრობდა თბილისში, 38 – თელავში და 13 – რუსთავში [74, 246].

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გვარის ამჟამინდელ მატარებელთაგან მხოლოდ ერთი ნაწილია გენეტიკური შთამომავალი თავად ჯანდიერებისა – პირდაპირი, ანუ მამრობითი ხაზით. მათი რაოდენობა ექვს ათეულს არ აღემატება [75, 327-330]. მეორე ნაწილს აღებული აქვს დედის, ბებიის ან დიდი ბებიის გვარი, ანუ ამ გვარს ენათესავება მდედრობითი (არაპირდაპირი) ხაზით, ხოლო მესამე ნაწილს ამ გვართან არავითარი გენეტიკური ნათესაობა არ აკავშირებს.

* * *

ამრიგად, თავადი ჯანდიერები (იგივე ჯანდიერიშვილნი) წარმოადგენდნენ ერთ-ერთ წარჩინებულ ქართულ საგვარეულოს, რომელსაც ყმა-მამული კახეთში ჰქონდა. საქართველოსა და მის სათავეში მდგარ ბაგრატიონთა დინასტიისადმი ერთგულებითა და თავდადებით ტრადიციულად გამორჩეულ ამ გვარს მეფენიც წყალობდნენ. ბაგრატოვანმა ხელმწიფეებმა ჯანდიერებს უბოძეს როგორც ნასახჩიბაშობა, ასევე მოურავობა 11 სოფლისა, რომელთა შორისაც იყო: ერწო, საგარეჯო, ქვემო ხოდაშენი, ვანთა, შაშიანი, კალაური, ურიათუბანი, ველისციხე, გურჯაანი, ჯიმითი და ყანდიაური/ყანდაურა.

ჯანდიერთა გვარიდან გამოსული არაერთი სახელოვანი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, მეცნიერი, ხელოვანი

და მწერალი ნაყოფიერად იღვწოდა საქართველოს სამეფოს, რუსეთის იმპერიის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის არსებობის ხანაში და თანამედროვე ეტაპზეც წარმატებით საქმიანობს.

აღნიშნული გვარის წარმომადგენლებმა თავი ისახელეს როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში, ასევე ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV, თბილისი, 1973.
2. ბაგრატიონი იოანე, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბილისი, 1997.
3. გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ, თბილისი, 1983.
4. თოფჩიშვილი როლანდ, საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2021.
5. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები (1736-1797 წლები), შეადგინა მანანა ჭუმბურიძემ, თბილისი, 2008.
6. საქართველოს სიძველენი, ტომი III, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1910.
7. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტომი II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953.
8. იოსელიანი პლატონ, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936.

9. ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983.
10. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი I, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, ელენე ცაგარეიშვილმა და გიორგი ჯანდიერმა, ტომის რედაქტორები მზია სურგულაძე და ჯუმბერ ოდიშელი, თბილისი, 1991.
11. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტომი I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940.
12. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1965.
13. ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება (XVIII საუკუნის დამდეგი), ტ. I, ტექსტი ივანე ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1940.
14. კაკაბაძე სარგის, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, ტ. II, ტფილისი, 1925.
15. საქართველოს მეფეები, ავტორთა კოლექტივის ერთობლივი ნაშრომი მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000.
16. დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბილისი, 1962.
17. ნატროშვილი თამაზ, მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი, 1991.
18. ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბილისი, 1980.
19. ჯამბურია გივი, ჯანდიერი (ასლანიშვილი) დავით, ქსე, ტომი 11, თბილისი, 1987.
20. ჯამბურია გივი, ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის

შენარჩუნებისათვის XVII საუკუნის პირველ მესამედში, რვატომეულში“ „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტომი IV, თბილისი, 1973.
21. ჯავახიშვილი დავით, ბაგრატიონთა კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარება (XV-XXI საუკუნეები), თბილისი, 2020.
22. ქართველ მეფეთა მწერლობა, შემდგენელი მარინე ჯალიაშვილი, თბილისი, 1996.
23. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი V, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდობაძემ, გულიკო მჭედლიძემ და მზია სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ, თბილისი, 2015.
24. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII საუკუნეები), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1972.
25. Сычев Н., Книга Династий, Москва, 2006.
26. ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XV-XVIII სს.), ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნუგზარ დუნდუამ, თბილისი, 1984.
27. Какабадзе С., Грузинские документы Института народов Азии АН СССР, Москва, 1967.
28. ჟორდანია თედო, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, წიგნი III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1967.
29. საქართველოს ისტორიის ქრონიკები (XVII-XIX სს.), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1980.

30. ორბელიანი პაპუნა, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.
31. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1950.
32. ქართული ეპისტოლური წყაროები (XV-1762 წ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბილისი, 1989.
33. ნადირაძე ქეთევან, კათოლიკოს-პატრიარქი იოსები (ჯანდიერი), წიგნში: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, როინ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000.
34. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი, 1962.
35. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VII, სასამართლო განჩინებანი არზა-ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1981.
36. Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тбилиси, 2003.
37. ბაგრატიონი თეიმურაზ, დავით ბაგრატიონის ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბილისი, 1972.
38. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1985.
39. კეკელია მიხეილ, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I (ქართლ-კახეთის სამეფო), თბილისი, 1970.
40. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX საუკუნეები), ტექსტები გამოსცა,

შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1977.
41. ჯავახიშვილი დავით, სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი – მირიან ბაგრატიონი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის სამეცნიერო შრომათა კრებული, №16, თბილისი, 2018.
42. ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, 1986.
43. ჯავახიშვილი ნიკო, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ბიოგრაფიისათვის, მასალების კრებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ორგანიზებული VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა თემაზე: „ჩვენი სულიერების ბალავარი“, რომელიც გაიმართა 2015 წლის 17-18 აპრილს იმავე უნივერსიტეტში, ტომი VII, თბილისი, 2015.
44. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი №957.
45. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. I, Тифлис, 1866.
46. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, აღწერა 1, საქმე 75.
47. დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, გამოსაცემად მოამზადა შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1999.
48. ჯავახიშვილი ნიკო, გრიგოლ I – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, თბილისი, 2020.

49. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, აღწერა 3, საქმე 279.
50. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 20.
51. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თამარ ლომოურის გამოცემა, ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.
52. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. II, Тифлис, 1868.
53. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. V, Тифлис, 1873.
54. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S-137.
55. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, VI-VII, იოანე ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809-1835 წწ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გულნარა დედაბრიშვილმა, თბილისი, 2000.
56. ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, ფოტოტიპური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი, 2005.
57. მეგრელიძე შამშე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში (რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან), თბილისი, 1974.
58. ჯავრიშვილი ვლადიმერ, ჯანდიერი გიორგი, ქსე, ტომი 11, თბილისი, 1987.
59. ქართული მწერლობა: ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I, გურამ ასათიანის რედაქციით, თბილისი, 1984.
60. გოგბაიძე მარინე, თამაზაშვილი ნათია, აკაკი წერეთლის მოგზაურობა კახეთში, თბილისი, 2002.
61. რაზიკაშვილების მიმოწერა. ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი), ბაჩანა (ნიკო რაზიკაშვილი), თევდორე

(თედო) რაზიკაშვილი, ალექსანდრე (სანდრო) რაზიკაშვილი, მიხეილ (მიხა) რაზიკაშვილი, გამომცემელი ლაშა ბაქრაძე, თეა თვალავაძის რედაქციით, თბილისი, 2011.
62. ჯავახიშვილი ნიკო, ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთ-მცოდნეობა), თბილისი, 1995.
63. იოსებ (ოსიკა) ჯანდიერი, ამონაწერი დედის დღიურიდან, გაზეთი „ექსპრესი“, №2 (10), თბილისი, 1991.
64. ჯავახიშვილი ნიკო, რუსული საიმპერიო ჯილდოები საქართველოს დაცვისთვის... სახელმწიფო ჯილდოები ამიერკავკასიის ფედერაციასა და საქართველოს დემოკრა-ტიულ რესპუბლიკაში, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“, თბილისი, 2019, №6 (102).
65. საქართველოს ეროვნულ არქივთან არსებული ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15.
66. ჩხეიძე ალექსანდრე, სამხედრო სკოლა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ლელა სარალიძემ, არჩილ ჩაჩხიანის რედაქციით, თბილისი, 2018.
67. კირთაძე ნესტან, კაენ, სად არის ძმა შენი?! ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ.), წიგნი I, თბილისი, 1998.
68. ჯანდიერი ილია ლევანის ძე, ენციკლოპედიური ლექსიკონი „თბილისი“, თბილისი, 2002.
69. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები (1917-1926 წწ.), გამოსაცემად მოამზადეს და საძიებლები დაურთეს მანანა ლილუაშვილმა და ზურაბ გაიპარაშვილმა, თბილისი, 2006.
70. ჯანდიერი ლევან ილიას ძე, ენციკლოპედიური ლექსიკონი „თბილისი“, თბილისი, 2002.
71. ჯანდიერი ირინე ალექსანდრეს ასული, ენციკლოპედიური ლექსიკონი „თბილისი“, თბილისი, 2002.
72. ჯავახიშვილი ნიკო, ჩერქეზიშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან, ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი პირველი დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია,

პროგრამა და მოხსენებები, გოჩა ფერაძისა და რატი ყოლბაიას რედაქციით, თბილისი, 2021.
73. ჯავახიშვილი ნიკო, რუსიშვილი რაჟდენ გრიგოლის ძე, ენციკლოპედია-ლექსიკონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ავტორთა კოლექტიური ნაშრომი დიმიტრი შველიძის რედაქციით, თბილისი, 2018.
74. სილაგაძე ავთანდილ, თოთაძე ანზორ, გვარ-სახელები საქართველოში, თბილისი, 1997.
75. ჩიქოვანი იური, საქართველოს სამეფოს თავადთა შთამომავალნი (XX-XXI საუკუნეები), თბილისი, 2019.

Niko Javakhishvili

Doctor of historical sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department Modern and Contemporary History

FROM THE HISTORY OF THE PRINCES JANDIERI'S SURNAME

Summary

This article reviews the history of the Jandieri's – one of the prominent noble surnames in Kakheti – the East part of Georgian kingdom. They were higher nobles – princes, in Georgian – *„Tavadi"*.

In the historical sources of XVI-XIX centuries, the princes Jandieri's were named as the faithful warriors and administrators, specifically, community governors (in Georgian – *„Mouravi")* of Georgian kings, from the royal dynasty of Bagrationi (the Bagratids).

For such loyalty to the kings the Jandieri's were highly appreciated by Georgian kings.